

ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრი  
შეჯიბრი ბიზნეს სამართლის  
იმიტირებულ სასამართლო პროცესში  
წესები

1. შეჯიბრის ზოგადი ორგანიზაცია

- 1.1. შეჯიბრი ბიზნეს სამართლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში (“შეჯიბრი”) ტარდება თავისუფალ უნივერსიტეტთან არსებული ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრის მიერ. ბიზნეს სამართლის ეროვნული ცენტრი ნიშნავს შეჯიბრის ადმინისტრატორს და სამეთვალყურეო საბჭოს 3 (სამი) წევრის რაოდენობით.
- 1.2. შეჯიბრს ასევე გააჩნია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოწვეული პირებისგან. მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია სამეთვალყურეო საბჭოს და შეჯიბრის ადმინისტრატორს მიაწოდოს რჩევები და რეკომენდაციები შეჯიბრთან დაკავშირებით.
- 1.3. შეჯიბრი შედგება სამი ეტაპისგან: 1) შესარჩევი შეხვედრები; 2) ნახევარფინალები 3) ფინალი.
- 1.4. ადმინისტრატორი შეიმუშავებს და მონაწილე გუნდებს გააცნობს შეჯიბრის განრიგს რომელიც მოიცავს შეჯიბრთან დაკავშირებული ძირითად ვადებსა და პირობებს.

2. მონაწილეობა და გუნდების შემადგენლობა

- 2.1. შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში არსებულ აკრედიტებულ უმაღლესი განათლების დაწესებულებათა (შემდგომში “დაწესებულება”) სამართლის სკოლების, ბაკალავრიატის სტუდენტებით დაკომპლექტებულ გუნდებს;
- 2.2. თითოეული დაწესებულებიდან შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლია ერთ ან რამდენიმე გუნდს;
- 2.3. შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს არა უმცირეს 2 (ორი) და არა უმეტეს 4 (ოთხი) სტუდენტისგან. გუნდის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ აღნიშნული სტუდენტები. რეგისტრაციის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში რაიმე სახის ცვლილება დაუშვებელია გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა. მონაწილის ჩანაცვლების შემთხვევაში გუნდმა უნდა დაასაბუთოს, რომ ობიექტურად შეუძლებელია ერთ-ერთი მონაწილის / სტუდენტის მონაწილეობა). აღნიშნულ შემთხვევაში, წერილობითი მიმართვის საფუძველზე 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში გადაწყვეტილებას იღებს შეჯიბრის ადმინისტრატორი. დადგენილ ვადაში შეჯიბრის ადმინისტრატორის მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ითვლება რომ შესაბამისი გუნდის წერილობითი მიმართვით მოთხოვნილი ცვლილება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია

- 2.4. გუნდის შემადგენლობაში ყოფნის უფლება აქვს პირს, რომელიც:
- i) რეგისტრაციის მომენტისა და შეჯიბრის ჩატარების დროს არის რომელიმე დაწესებულების სტუდენტი;
  - ii) არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი;
- აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია
- 2.5. გუნდების შემადგენლობის ფორმირება შეიძლება განხორციელდეს სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად ან დაწესებულებაში არსებული შესაბამისი წესებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუკი გუნდის შემადგენლობის ფორმირება ხორციელდება დაწესებულებაში არსებული წესებით, აკრძალულია შერჩევისათვის შეჯიბრის საქმის მასალების გამოყენება. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია

### 3. გუნდების რეგისტრაცია

- 3.1. გუნდების რეგისტრაციას ახორციელებს შეჯიბრის ადმინისტრატორი. რეგისტრაციისათვის გუნდმა უნდა შეავსოს ონლაინ-განაცხადი, რომლის ფორმასაც შეიმუშავებს ადმინისტრატორი.
- 3.2. თითოეული გუნდი წარმოადგენს ოფიციალურ საკონტაქტო პირს, რომელსაც შეჯიბრის მსვლელობისას მიეწოდება გუნდთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და კომუნიკაცია. საკონტაქტო პირისათვის ინფორმაციის მიწოდება ჩაითვლება გუნდისათვის ინფორმაციის მიწოდებად.
- 3.3. რეგისტრაციის დასრულებისას თითოეულ გუნდს მიენიჭება გუნდის ოფიციალური ნომერი.
- 3.4. სარეგისტრაციო ინფორმაციაში ცვლილების შემთხვევაში გუნდი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრატორს ცვლილების შესახებ. ცვლილება მიღებულად ითვლება ადმინისტრატორისგან შესაბამისი დადასტურების შემდეგ. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია

### 4. მომზადება და დახმარება გუნდებისათვის

- 4.1. შეჯიბრისათვის საჭირო კვლევა, წერილობითი სარჩელი და ზეპირი მოსმენებისათვის მზადება ხორციელდება მხოლოდ გუნდის წევრების მიერ. დაუშვებელია აღნიშნულ პროცესში გარეშე პირების ჩართვა, გარდა გუნდის მრჩეველისა.
- 4.2. თითოეულ გუნდს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი მრჩეველი. გუნდის მრჩეველი გუნდს აძლევს ზოგადი ხასიათის რჩევებს მხოლოდ შემდეგ საკითხებზე:
- i) სამართლის ზოგადი პრინციპები;
  - ii) სამართლის კვლევის მეთოდები და წყაროები;
  - iii) წერილობითი სარჩელის წერის ტექნიკა;
  - iv) ზეპირი გამოსვლის უნარები;
  - v) სამართლებრივი არგუმენტების სტრუქტურირება;

vi) ზეპირი გამოსვლის სტრატეგია.

აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია

- 4.3. დაუშვებელია ნებისმიერი სახით რჩევის მიღება სხვა გუნდის წევრებისგან მიუხედავად იმისა, აგრძელებს თუ არა ეს გუნდი მონაწილეობას შეჯიბრში. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია
- 4.4. დაუშვებელია სხვა გუნდის წერილობითი სარჩელის გამოყენება გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გუნდებს გადაეცემათ მოწინააღმდეგე გუნდის სარჩელები ზეპირი მოსმენებისათვის. გუნდებს შეუძლიათ გამოიყენონ მოწინააღმდეგე გუნდის სარჩელში ან ზეპირი მოსმენებისას მოცემული სამართლებრივი არგუმენტები. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია
- 4.5. გუნდებს შეუძლიათ წერილობითი ფორმით მოითხოვონ საქმის მასალებთან დაკავშირებით განმარტებები და შესწორებები შეჯიბრის ადმინისტრატორისგან. ადმინისტრატორი შეიმუშავებს და ყველა მონაწილე გუნდს მიაწვდის საქმის მასალებთან დაკავშირებულ განმარტებებს და შესწორებებს.
- 4.6. შეჯიბრის მსვლელობისას გუნდებმა უნდა შეინარჩუნონ ანონიმურობა და ეკრძალებათ მოსამართლეებს გაუმხილონ საკუთარი გუნდის ნომერი და სასწავლო დაწესებულების სახელი. აღნიშნული წესის დარღვევისას ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოახდინოს დამრღვევი გუნდის დისკვალიფიკაცია.

## 5. მოსამართლეები

- 5.1. შეჯიბრისათვის მოსამართლეების შერჩევას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო ადმინისტრატორის მიერ წარდგენილი სიიდან;
- 5.2. მეხუთე მუხლის მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტების მიზნებისათვის ტერმინი კავშირი და მისგან ნაწარმოები ტერმინები (მაგ. დაკავშირებული პირები) გულისხმობს ნათესაური, პედაგოგიური (მწვრთნელი, ლექტორი, მასწავლებელი, ა.შ.), სამეცნიერო (თემის ხელმძღვანელი, კლევის თანამონაწილე, ა.შ.) ან/და პროფესიულ (შრომითი ურთიერთობა, ერთსა და იმავე პირთან მუშაობა, ა.შ.) პირდაპირ კავშირსა და ურთიერთობას. ნაცნობობა არ შეიძლება მიჩნეული იქნას კავშირად ამ მუხლის მიზნებისათვის
- 5.3. დაუშვებელია მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს იმ ზეპირ გამოსვლებში, სადაც გამოდის იმ დაწესებულების გუნდი, რომელთანაც მოსამართლეს აქვს კავშირი და თუ ასეთი კავშირი ეჭვქვეშ დაყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოსამართლე ვალდებულია აცნობოს აღნიშნული კავშირის შესახებ ადმინისტრატორს.
- 5.4. დაუშვებელია მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს იმ ზეპირ გამოსვლებში, სადაც გამოდის გუნდი, რომლის წევრთანაც მას აქვს კავშირი და თუკი ეს კავშირი ეჭვქვეშ დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოსამართლე ვალდებულია აცნობოს აღნიშნული კავშირის შესახებ ადმინისტრატორს.
- 5.5. თუკი მონაწილე გუნდი მიიჩნევს, რომ ზეპირ გამოსვლაში მონაწილე მოსამართლე აცილებული უნდა იქნას ამ მუხლის მიხედვით, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრატორს ზეპირი გამოსვლის დაწყებამდე.
- 5.6. გადაწყვეტილებას აცილებაზე იღებს ადმინისტრატორი.

5.7. ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ მოსამართლეებს უფლება აქვთ, მისცენ გუნდებს შეჯიბრთან დაკავშირებული ისეთი რჩევები, რომელიც არ უკავშირდება საქმის შინაარსს და მიმართულია ძირითადად ზეპირი გამოსვლის უნარ-ჩვევებზე. რჩევის მიცემისას დაუშვებელია გამოვლენილი იქნეს გუნდის წევრებისათვის წერილობით სარჩელზე ან ზეპირი გამოსვლისათვის მინიჭებული ქულები ან/და შეფასება.

## 6. წერილობითი განაცხადი

- 6.1. შეჯიბრში მონაწილე თითოეული გუნდი ამზადებს წერილობით სარჩელს და შესაგებელს შესაბამისად მოსარჩელის, ასევე მოპასუხის მხრიდან (შემდგომში ორივე დოკუმენტი მოიხსენიება, როგორც “წერილობითი განაცხადები);
- 6.2. წერილობითი განაცხადები გაგზავნილი უნდა იქნას ადმინისტრატორის ელექტრონულ ფოსტაზე არა უგვიანეს განრიგში მითითებული თარიღის 23:59 საათისა;
- 6.3. გუნდი რომელიც არ ჩააბარებს ორივე წერილობით განაცხადს 6.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრიდან.
- 6.4. თითოეული წერილობითი განაცხადი უნდა შეადგენდეს ერთ დოკუმენტს შემდეგი მახასიათებლებით, რომელთა დარღვევა იწვევს ჯარიმას 9.3 მუხლით გათვალისწინებული ქულის ოდენობით:
  - ფორმატი: Microsoft Word (.doc/.docx file extension);
  - გვერდის სიდიდე: 21.6 x 27.9 cm
  - საზღვრები: 2.54 cm (one inch) ოთხივე მხარე;
  - ფონტის სახე და ზომა: Sylfaen, 12;
  - დაშორება სტრიქონებს შორის:
    - წერილობითი განაცხადის ტექსტში: 15;
    - წერილობითი განაცხადის სქოლიოში: “single”;
  - დაშორება სათაურებსა და ტექსტს შორის: “double”;
  - დაშორება ციტირებულ ტექსტში: “single”;
- 6.5. წერილობითი განაცხადის ტექსტი არ უნდა შეიცავდეს “track-changes”, “comments”, “highlights” და მსგავს ელემენტებს. ამ წესის დარღვევა იწვევს ჯარიმას 9.3 მუხლით გათვალისწინებული ქულის ოდენობით.
- 6.6. თითოეული წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს, რომელთა არარსებობის ან მახასიათებლების დარღვევის შემთხვევაში გუნდი მიიღებს ჯარიმას 9.3 მუხლით გათვალისწინებული ქულის ოდენობით:
  - i. თავფურცელი;
  - ii. სქოლიო;
  - iii. გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი;
  - iv. ფაქტობრივი გარემოებების მოკლე აღწერა;
  - v. განაცხადის მოკლე შინაარსი;
  - vi. განაცხადის საკითხები;
  - vii. განაცხადის არსებითი ნაწილი.
- 6.7. განაცხადის თავფურცელზე მითითებული უნდა იყოს გუნდის სარეგისტრაციო ნომერი (ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში); სასამართლოს სახელი; შეჯიბრის წელი; საქმის სახელი; დოკუმენტის სახელი (სარჩელი ან შესაგებელი) და შესაბამისად გუნდის მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე);

- 6.8. გამოყენებული წყაროების ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს განაცხადში გამოყენებულ ყველა სამართლებრივ წყაროს (ნორმატიული აქტი, სამეცნიერო ნაშრომი, პრეცედენტული სამართალი, ა.შ.) არსებით ნაწილში გამოყენების გვერდის მითითებით;
- 6.9. ფაქტობრივი გარემოებების აღწერა არ უნდა აღემატებოდეს 1000 სიტყვას და უნდა მოიცავდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების მოკლე აღწერას;
- 6.10. განაცხადის მოკლე შინაარსი არ უნდა აღემატებოდეს 1000 სიტყვას;
- 6.11. განაცხადის არსებითი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 3000 სიტყვას;
- 6.12. ციტირებისას აუცილებელია დაცული იქნას ერთგვაროვნება;
- 6.13. დაუშვებელია განაცხადში მითითებული იყოს გუნდის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, გარდა გუნდის სარეგისტრაციო ნომრისა. ასეთი ინფორმაციის შემთხვევაში მოხდება გუნდის დისკვალიფიკაცია;

## 7. საქმის ზეპირი მოსმენები

- 7.1. ზეპირ მოსმენებზე დაიშვებიან გუნდები, რომელთაც შესაბამის ვადაში ჩააბარეს წერილობითი განაცხადები. თუკი გუნდების რაოდენობა, რომელთაც ჩააბარეს წერილობითი განაცხადი აღემატება 12 (თორმეტი) გუნდს, ზეპირ მოსმენაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ის 12 (თორმეტი) გუნდი რომელთა წერილობითმა განაცხადებმა მიიღეს უმაღლესი ქულები. ცნობას ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის შესახებ გუნდები მიიღებენ შეჯიბრის ადმინისტრატორისგან.
- 7.2. გუნდების დაწვევლება ზეპირი მოსმენებისათვის მოხდება ფარული წილისყრის საფუძველზე. ზეპირ მოსმენამდე ერთი დღით ადრე გუნდებს გადაეცემათ მოწინააღმდეგე გუნდის შესაბამისი წერილობითი განაცხადი.
- 7.3. ზეპირი მოსმენები ჩატარდება 3 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის წინაშე. მოსამართლეთა შერჩევა ყველა კონკრეტული მოსმენისათვის განხორციელდება ფარული წილისყრის საფუძველზე;
- 7.4. ზეპირი მოსმენა ჩატარდება შემდეგი თანმიმდევრობით:
  - 7.4.I. მოსარჩელე მხარის სიტყვა (30 წუთი);
  - 7.4.II. მოპასუხე მხარის სიტყვა (30 წუთი);
  - 7.4.III. მოსარჩელის შემაჯამებელი სიტყვა (15 წუთი);
  - 7.4.IV. მოპასუხის შემაჯამებელი სიტყვა (15 წუთი);
- 7.5. ზეპირი გამოსვლისას მოსამართლეებს აქვთ უფლება გამომსვლელებს დაუსვან კითხვები.
- 7.6. დაუშვებელია გუნდის წევრები ან გუნდთან დაკავშირებული პირები, მანამ სანამ ეს გუნდი მონაწილეობს შეჯიბრში, დაესწრონ სხვა გუნდების ზეპირ მოსმენებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ესწრებიან ამ გუნდის ზეპირ მოსმენებს;

## 8. გუნდების შეფასება

- 8.1. შესარჩევი შეხვედრების ეტაპზე შეფასდება გუნდის წერილობითი განაცხადი და ზეპირი გამოსვლები.
- 8.2. შესარჩევ ეტაპზე გუნდის წერილობითი განაცხადის საერთო შეფასება მიიღება მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლისას გუნდის სარჩელის და შესაგებელის სამი მოსამართლის მიერ გაკეთებული შეფასებების შეჯამებით. შეფასება განხორციელდება 50-იდან 100 ქულამდე შკალით. შეფასების ფორმას

შეიმუშავეს შეჯიბრის ადმინისტრატორი. შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება საჯარიმო ქულები.

- 8.3. შესარჩევ ეტაპზე გუნდის ზეპირი გამოსვლის შეფასება მიიღება მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლისას სამი მოსამართლის მიერ გაკეთებული შეფასებების შეჯამებით. შეფასება განხორციელდება 50-იდან 100 ქულამდე შკალით. შეფასების ფორმას შეიმუშავეს შეჯიბრის ადმინისტრატორი. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საჯარიმო ქულები.
- 8.4. შესარჩევი ეტაპიდან ნახევარფინალში ან ფინალში გასულად გამოცხადდება შესაბამისად 4 ან 2 გუნდი რომელთა წერილობითი და ზეპირი გამოსვლების ქულების ჯამი არის უმაღლესი.
- 8.5. ნახევარფინალში და ფინალში გასული გუნდების წერილობითი განაცხადები შეფასდება ხელახლა 3 (სამი) მოსამართლის მიერ შემდეგი მეთოდით: ის გუნდი, რომლის წერილობით განაცხადსაც თითოეული მოსამართლე ჩათვლის უკეთესად მიიღებს 1 (ერთ) ქულას. თუკი მოსამართლის აზრით წერილობითი განაცხადები თანაბარ შეფასებას იმსახურებს თითოეული გუნდი მიიღებს 0.5 ქულას. შესარჩევ ეტაპზე მიღებული საჯარიმო ქულები გათვალისწინებული არ იქნება.
- 8.6. ნახევარფინალში და ფინალში გასული გუნდების ზეპირი გამოსვლები შეფასდება კოლეგიაში მყოფი 3 (სამი) მოსამართლის მიერ შემდეგი მეთოდით: გუნდი, რომლის გამოსვლაც მოსამართლის აზრით უკეთესია მიიღებს 2 (ქულას). თუკი მოსამართლის აზრით გუნდების ზეპირი გამოსვლა თანაბარ შეფასებას იმსახურებს თითოეული გუნდი მიიღებს 1 (ერთ) ქულას.
- 8.7. ნახევარფინალში და ფინალში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი რომლის წერილობითი განაცხადისა და ზეპირი გამოსვლისას მიღებული ქულების ჯამი არის მეტი მოპირისპირე გუნდთან მიმართებაში.
- 8.8. შესარჩევი ეტაპის, ნახევარფინალის და ფინალის დასრულების შემდეგ თითოეული გუნდი მიიღებს მოსამართლეთა მიერ შევსებულ შეფასების ფორმებს.

## 9. საჯარიმო ქულები

- 9.1. წერილობითი განაცხადის შეფასებისას მოსამართლეები არ ითვალისწინებენ ჯარიმებს. წერილობითი განაცხადის საჯარიმო ქულების დათვლას და მიღებული შეფასებისათვის გამოკლებას ახორციელებს შეჯიბრის ადმინისტრატორი. თითოეული მოსამართლის მიერ გაკეთებული შეფასებას ადმინისტრატორი გამოაკლებს საჯარიმო ქულებს და მიიღებს საბოლოო შეფასებას. წერილობითი განაცხადის საბოლოო შეფასება არ შეიძლება იყოს 50 ქულაზე ნაკლები მიუხედავად საჯარიმო ქულების რაოდენობისა.
- 9.2. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე შეჯიბრის ადმინისტრატორი წერილობით აცნობებს დაჯარიმებულ ქუნდებს მიღებული საჯარიმო ქულების რაოდენობისა და მიზეზების შესახებ და მისცემს 2 (ორი) დღის ვადას გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის.
- 9.3. საჯარიმო ქულების დაკისრება მოხდება შემდეგი წესით:

### დარღვევა

გუნდის ნომრის და მხარის მითითება

ფონტის სახე

ფონტის ზომა

### საჯარიმო ქულის ოდენობა

2 ქულა

1 ქულა (მაქსიმუმ 5)

1 ქულა (მაქსიმუმ 5)

დაშორება სტრიქონებს შორის	1 ქულა (მაქსიმუმ 5)
“track-changes”, “comments”, “highlights”	5 ქულა ერთჯერადად
თავფურცელის ფორმა და ინფორმაცია	2 ქულა ერთჯერადად
განაცხადის ნაწილების გამოტოვება ან ნაწილების დამატება	2 ქულა თითოეული ნაწილისათვის
განაცხადის სიტყვების საერთო რაოდენობის გადამეტება	1-100 სიტყვა – 3 ქულა; 101-200 სიტყვა – 6 ქულა; 201 – 300 სიტყვა – 9 ქულა; 301 – 400 სიტყვა – 12 ქულა; 400 და მეტი სიტყვა – 15 ქულა;
განაცხადის მოკლე შინაარსის სიტყვების რაოდენობის გადამეტება	2 ქულა
ფაქტობრივი გარემოებების აღწერის სიტყვების რაოდენობის გადამეტება	2 ქულა
პლაგიატიზმი	1-50 ქულამდე
ფორმატი	1 ქულა (მაქსიმუმ 5)
გვერდის სიდიდე:	1 ქულა (მაქსიმუმ 5)
სახდურები	1 ქულა (მაქსიმუმ 5)
დაშორება სათაურებსა და სტრიქ. შორის	1 ქულა (მაქსიმუმ 5)
დაშორება ციტირებულ ტექსტში	1 ქულა (მაქსიმუმ 5)

- 9.4. პლაგიატიზმს წარმოადგენს სხვისი ნაწერის მითვისება და მისი საკუთარი შრომის შედეგად გასაღება.
- 9.5. პლაგიატიზმის აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო ქულების რაოდენობას 1-50 ქულამდე განსაზღვრას შეჯიბრის ადმინისტრატორი პლაგიატიზმის სიმძიმის და საქმისათვის მისი არსებითობის მიხედვით.
- 9.6. ზეპირი მოსმენებისას საჯარიმო ქულების დაწესება მოხდება მხოლოდ შეჯიბრის ადმინისტრატორის მიერ საჭიროების შემთხვევაში სხდომის მდივანთან, გუნდებთან და მოსამართლეებთან კონსულტაციების შედეგად.
- 9.7. თუკი გუნდი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე გუნდის მიერ მოხდა წესების დარღვევა, მან წერილობით უნდა აცნობოს სხდომის მდივანს ან შეჯიბრის ადმინისტრატორს სხდომის დასრულებიდან 10 წუთის განმავლობაში. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დარღვევის სახე და დამრღვევის ვინაობა. აღნიშნული წესის დაუცველობის შემთხვევაში საჩივარი არ მიიღება.
- 9.8. თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ მოხდა წესების დარღვევა მან წერილობით უნდა აცნობოს სხდომის მდივანს ან შეჯიბრის ადმინისტრატორს სხდომის დასრულებიდან 10 წუთის განმავლობაში. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დარღვევის სახე და დამრღვევის ვინაობა.
- 9.9. ზეპირი მოსმენებისას საჯარიმო ქულების დაკისრება მოხდება თითოეული მოსამართლის მიერ ორივე გამომსვლელისათვის მინიჭებული შეფასების ჯამიდან ან ნახევარფინალისა და ფინალის შემთხვევაში გუნდისათვის მინიჭებული ქულებიდან შემდეგი რაოდენობით

<b>დარღვევა</b>	<b>საჯარიმო ქულის რაოდენობა</b>
აკრძალული კომუნიკაცია	10 ქულა შესარჩევ ეტაპზე, 0.1 ქულა ნახევარფინალში
გუნდის წევრების ან გუნდთან დაკავშირებული პირების დაესწრება სხვა არამოპირისპირე გუნდების ზეპირ	30 ქულა შესარჩევ ეტაპზე, 0.6 ქულა ნახევარფინალში

- 9.10. შეჯიბრის ადმინისტრატორი გუნდს ზეპირი მოსმენისას მიღებული ჯარიმის შესახებ აცნობებს ზეპირი მოსმენის დასრულებიდან 6 საათის განმავლობაში.
- 9.11. გარდა ზემოაღნიშნული საჯარიმო ქულებისა, შეჯიბრის ადმინისტრატორი უფლებამოსლია გუნდს დააკისროს დისკრეციული ჯარიმა 15 საჯარიმო ქულამდე შესარჩევი ეტაპის დროს და 1.5 ქულამდე ნახევარფინალისა და ფინალის ეტაპზე გუნდის წევრების ან მათთან დაკავშირებული პირების მიერ ისეთი ქმედებისათვის, რაც ეწინააღმდეგება შეჯიბრის ზოგად მიზნებსა და პრინციპებს. მსგავსი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს: შეჯიბრის სამართლიანობის პრინციპის დარღვევას, მოწინააღმდეგე გუნდისადმი დაუსაბუთებელი საჩივრის წარდგენას, ზეპირი მოსმენისას პროცედურების აშკარა დარღვევას, შეჯიბრის წესების აშკარა უგულებელყოფას, მოსამართლეებთან ე.წ. *ex parte communication*. და ა.შ.
- 9.12. საჯარიმო ქულები შესაძლებელია გასაჩივრდეს გუნდების მიერ ადმინისტრატორისათვის წარდგენილი წერილობითი განცხადებით ჯარიმის შესახებ ცნობის მიღებიდან 6 საათის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილ განაცხადზე 1 (ერთი) დღის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.